სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #41

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ. „ლოკომოტივი“ - რუსთავის „რუსთავი“		
გუნდი		შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	22/12/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, ლოკოს ბაზა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	პიროვნება	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ალექსანდრე ზაბახიძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მსაჯი იოსებ ჯაფარიძე;	დარღვევა	☐ აღიარებულია ☒ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.13 პუნქტის (არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;)	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	25/12/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ კი დისტანციური ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები			

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის იოსებ ჯაფარიძის საჩივარი(საითინგი) ციტირება - შეხვედრის 65-ე წუთზე რუსთავის მწვრთნელმა გიორგი (ჯილა) ზამბახიძემ დაიწყო აპელირება ყვირილით ჩემს მიმართ.

რაზეც დავაჯარიმე და გაფრთხილების მიზნით ვცადე კომუნიკაციით მომეგვარებინა ის რომ წითელი ბარათი არ მეჩვენებინა. ამ დროს მის გვერდზე მყოფი მისივე ძმა ალექსანდრე (ვანძახა) ზამბახიძემ იკითხა ჩემი სახელი და გვარი რაზეც ვუპასუხე, ამის შემდეგ დამემუქრა ფრთხილად იყავიო ვაჩვენე წითელი ბარათი რაზეც შემდეგ ნაირი სიტყვებით მომმართა (ტრაკში გაგიკეთებ მაგ ბარათს შე ყ...) საბოლოოდ გაიყვანეს. თამაშის შემდეგ გიორგი ზამბახიძე (ჯილა) ისევ განაგრძობდა აპელირებას. (ვიდეო მასალაში ყველაფერი კარგად ჩანს და ისმის)

2. კიდის მსაჯის საბა შვანგირაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - საბა შვანგირაძის განცხადებით იგი პირადად შეესწრო ალექსანდრე ზაბახიძესა და მატჩის მსაჯს შორის მომხდარ ინციდენტს. კერძოდ, მსაჯმა შენიშვნა მისცა გიორგი ზბახიძეს რა დროსაც მის გვერდზე მყოფმა ალექსანდრე ზაბახიძემ მსაჯის სახელი იკითხა და პასუხის შემდეგ დაემუქრა - „ფრთხილად იყავი!“. ამ რეპლიკისთვის მსაჯმა ალექსანდრე ზაბახიძეს წითელი ბარათი უჩვენა. წითელი ბარათის საპასუხოდ კი ალექსანდრე ზაბახიძემ უპასუხა „ ეგ ბარათი შეგიძლია ტრ...ში გაიკეთო“. საბოლოოდ ალექსანდრე ზაბახიძე მისმა ძმამ, გიორგი ზაბახიძემ გიყვანა სათამაშო პერიმეტრიდან.
3. მატჩის მეთვალყურის ფარსმან გაბაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ფარსმან გაბაძის განცხადებით მისთვის უცნობ პიროვნებას, რომელიც სათამაშო პერიმეტრში იყო შემოსული მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა, რაზეც მან მსაჯს უპასუხა რეპლიკით „ტრ--ში გაიკეთე ეგ ბარათი“. მოგვიანებით ფარსმან გაბაძემ შეიტყო, რომ აღნიშნული პიროვნება გახლდათ ალექსანდრე ზაბახიძე, „რუსთავი“-ს მწვრთნელის გიორგი ზაბახიძის ძმა.
4. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ალექსანდრე ზაბახიძე :

ა) არ დაეთანხმა მსაჯის საჩივარში აღნიშნულ გარემოებას, მისი განცხადებით ის არ იმყოფებოდა გიორგი ზაბახიძის გვერდით;

ბ) განაცხადა რომ, „თუ არ მიაქცევთ ყურადღებას მსაჯების მოქმედებებს, ეს გადაიზრდება სისხილისღვრაში“, „იმიტომ რომ ძალიან გადაჯ...ი აქვთ თავზე“, „მე არ ვარ არცერთი გუნდის წარმომადგენელი, მე ვარ გულშემატკივარი და სადაც ვნახავ მსაჯების ეგეთ დამოკიდებულებას იქვე მექნება რეაქცია“. „თქვენ (გულისხმობს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს) რომ მე მირეკავთ ამას არანაირი საფუძველი არ აქვს, გეუბნებით რომ მიმართეთ შსს-ს და იმათმა დამირეკონ“.

სადისციპლინო კომისიის თხოვნაზე მიეწოდებინა კომისიისთვის ელ.ფოსტა, რომელზეც შემდგომში მას გადაეგზავნებოდა კომისიის გადაწყვეტილება, ალექსანდრე ზაბახიძემ უპასუხა :

„ არ მჭირდება არაფერში, რაც გინდათ იმაზე იმსჯელეთ. მე რაგბში თქვენ პირობებში ჩართვას აღარასოდეს ვაპირებ და რომ შეიცვლება სიტუაცია დარწმუნებული ვარ ეგ ყველაფერიც შეიცვლება რასაც წერთ და როგორც წერთ. ეხლა რაც გინდათ ის დაწერეთ, როგორც გინდათ ის დაწერეთ. მე თუ მოვხვდები თამაშზე და თუ კიდევ დავინახავ მსგავს საქციელს, ვიმოქმედებ ისე როგორც მე გადავწყვიტავ, რაც გინდათ წერეთ და იკითხეთ არ მაინტერესებს საერთოდ.“.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ სადისციპლინო კომისია განმარტავს :

ა) სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 1.1 პუნქტის მიხედვით - წინამდებარე რეგულაცია მოქმედებს და აღწერს სადისციპლინო პროცესს შემდეგ შემთხვევებში: დ) პიროვნების მხრიდან არამართებული ქცევის დროს. ხოლო ამავე რეგულაციის 2.9 პუნქტით განმარტებულია ტერმინი **პიროვნება** - პირი, რომელიც არის ან იყო ოდესმე ჩართული რაგბში ნებისმიერ დონეზე. მაგალითად (და არ არის ლიმიტირებული): სრკ-ს საქმიანობაში ნებისმიერ დონეზე ჩართული პირი და/ან თანამშრომელი, მწვრთნელი, სამედიცინო პირი, ფიზიოთერაპევტი, მსაჯი, სელექციონერი, მატჩის მეთვალყურე და ა.შ. სრკ-ს წევრ სუბიექტთნ რაიმე სახით დაკავშირებული და/ან საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირი.

ბ) სადისციპლინო კომისიამ მოიპოვა ჩანაწერი სრკ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე რაგბის კავშირის სტატისტიკის სამსახური. რომლის მიხედვითაც ალექსანდრე ზაბახიძე 2023-2024 წლის სათამაშო სეზონში რეგისტრირებული იყო სრკ-ში, როგორც რუსთავის „რუსთავი"-ს მოთამაშე.

სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების მიხედვით სადისციპლინო კომისიამ დადგენილად ცნო ალექსანდრე ზაბახიძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.13 პუნქტის **(არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;)** დარღვევა :

ა) მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა;

ბ) მატჩის ოფიციალური პირების მიმართ მუქარის შემცველი განცხადებები;

დადგენილი ფაქტობრივი მოცემულობების, მათზე მსჯელობის და სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ალექსანდრე ზაბახიძის განცხადებებიდან გამომდინარე სადისციპლინო კომისიამ სრკ-ს მიერ ორგანიზებული თამაშების დროს, თამაშში მონაწილე პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ალექსანდრე ზაბახიძეს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით აეკრძალოს სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრებების/თამაშების დროს სათამაშო სივრცეში* ყოფნა. **(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 (ზ)).**
   შენიშვნა - სათამაშო სივრცე - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 2.12)
2. ალექსანდრე ზაბახიძეს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეეზღუდოს სრკ-ში ნებისმიერი სახით რეგისტრაცია და რაგბთან დაკავშირებული ადმინისტრაციული/ოფიციალური პირის თანამდებობებზე მუშაობის უფლება **(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 (თ)).**

თავმჯდომარე **ხელმოწერა**	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	27/12/2024

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)